საიდ. №77175/03

IR 1201486

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №82-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ს. ებრალიძე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტისა და 2015 წლის 09 ივლისის №ა-163 სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ბრაუნ გმბჰ“ (Braun GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №82-03/15), რომლითაც მოითხოვება „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1054/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისათვის „SYNCROSONIC“ (საიდ. №77175/03 IR 1201486) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-8 კლასი).

„საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის

24 მარტის №1054/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიტყვიერი ნიშანი "SYNCROSONIC" მსგავსია ამერიკული კომპანია "ზე ჯილეტ კომპანის" (უან ჯილეტ პარკი, ბოსტონი, მასაჩუსეტსი 02127) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „SYNCRO" (რეგისტრაციის №8820, რეგისტრაციის თარიღი: 1998-04-07) მე-8 კლასის მსგავსი საქონლისთვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის დიდია ფონეტიკური მსგავსება, მათ აქვთ ერთნაირი ჟღერადობა. იდენტურია ამ ნიშნების ძირითადი ნაწილი - „SYNCRO". ამასთან, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და არცერთს არ აქვს გამოსახულება. ეს ყოველივე ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას შესაბამისი კლასისათვის. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვლისათვის.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტის წარმომადგენელი თავის სააპელაციო საჩივარში მიუთითებს, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ზე ჯილეტ კომპანი" (The Gillette Company) და კომპანია „ბრაუნ გმბჰ" (Braun GmbH) წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს. ისინი შედიან ერთ კომპანიათა ჯგუფში „ზე პროქტერ ენდ გემბელ გრუპ" (The Procter and Gamble Group), რის დასტურად სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი. სააპელაციო საჩივარში ასევე, მითითებულია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები

ეკუთვნის ერთ სამრეწველო ჯგუფში შემავალ კომპანიებს, შესაბამისად მომხმარებელი ვერ შევა შეცდომაში საქონლის მწარმოებლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია, შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „ზე ჯილეტ კომპანი“ (The Gillette Company) მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია თანხმობას აცხადებს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „SYNCROSONIC“ (საიდ. №77175/03 IR 1201486) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „ბრაუნ გმბჰ“ (Braun GmbH) სახელზე მე-8 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალისათვის. ამავე თანხმობის წერილში, ასევე მითითებულია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს და ისინი შედიან „ზე პროქტერ ენდ გემბელ გრუპ“ (The Procter and Gamble Group) კომპანიათა ჯგუფში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს, ადგილი აღარ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას, რომლის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული

ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ბრაუნ გმბჰ" (Braun GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 24 მარტის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №1054/03 ბრძანება.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SYNCROSONIC" (საიდ. №77175/03 IR 1201486) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე